კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)	

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Master of Business Administration (MBA) Program (Finance, Management and Marketing)	

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
მაგისტრატურა	

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	უმაღლესი
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	
ქართულად:	ბიზნესის ადმინისტირების მაგისტრი 02
ინლისურად:	Master of Business Administration 02

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი პაატა ბრეკაშვილი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, ხოლო მაქსიმალური დასაშვები ხანგრძლივობა შეადგენს 5 წელს. სასწავლო წელი დაგეგმილია 51 კვირაზე და აგებულია ტრიმესტრული პრინციპით. იგი მოიცავს სამ ტრიმესტრს. თითოეული ტრიმესტრი კი მოიცავს 17 სასწავლო კვირას. ნებისმიერ ტრიმესტრში, თითოეულ საგანში ლექციები ტარდება კვირაში ერთხელ. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 100 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელთაგანაც 75 ECTS კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 25 ECTS კრედიტი ეკუთვნის 3 არჩევითი სპეციალობის ბლოკის 5 საგანს. შესაბამისად, პროგრამა სთავაზობს სამ სპეციალობას: მარკეტინგი, ფინანსები, მენეჯმენტი და სტუდენტს აძლევს საშუალებას აირჩიოს შემოთავაზებული სპეციალობის საგნებიდან 5 არჩევითი საგანი. სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 20 ECTS კრედიტი. თითოეულ ტრიმესტრში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 20 ECTS კრედიტი. სულ ჯამში სტუდენტმა უნდა გაიაროს 120 ECTS, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, ქეისის ანალიზი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
▪ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ▪ ერთიანი სამაგიტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება ▪ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება ▪ კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღები გამოცდის წარმატებით გავლა ▪ კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა

პროგრამის მიზანი	პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი პროფესიონალი ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯერების მომზადებას, რომლებიც ცოდნაზე დაფუძნებული ინდივიდუალური პროფესიული მოღვაწეობით შეძლებენ შეიტანონ წვლილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საქმეში ბიზნესის წარმატებული ადმინისტრირების გზით. კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტის მიერ ამ ცოდნის პრატიკაში გამოყენებისკენ; • განუვითაროს საშუალო და მაღალი რგოლის (ფინანსური მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, პიარ მენეჯერი, კადრების მართვის მენეჯერი, დირექტორი და ა.შ.) მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და

	მოამზადოს კომპანიებში ლიდერული პოზიციისა და ფუნქციების შესრულებისათვის; • ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას; • მოტივაცია გაუჩინოს მწარმოებლური და ინოვატორული წამოწყებებისაკენ; • გაუღრმაოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები; • განუმტკიცოს მოქალაქეობრივი ღირებულებები. საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს პრაქტიკოს მენეჯერებს, ლიდერებს და ბიზნესის მართვის ხელოვანებს, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის მრავალი ასპექტის მართვას კომპანიის განვითარების სხვადასხვა დონეზე, როგორც ადგილობრივი ასევე გლობალური ინდუსტრიის ასპექტების გათვალისწინებით. პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ინდივიდუალური მწარმოებლურობისა და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაზე, ბიზნესში ორიგინალური და ყოვლისმომცველი მმართველობის მისაღწევად. ზოგადი სპეციალობის დისციპლინებთან ერთად სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ ღრმა პროფესიული განათლება მართვის ხელოვნებაში. პროგრამა აგებულია როგორც თეორიული და ანალიტიკური მეთოდოლოგიებით, ასევე გაჯერებულია პრაქტიკული ბიზნეს-სიტუაციების ანალიზით, რაც დამატებით წინაპირობად გვევლინება სტუდენტის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. სამაგისტრო პროგრამის ზემოთაღნიშნული სისტემა, ხელს უწყობს კვალიფიციურ, გამოცდილ, სტუდენტთა შორის გამოცდილების გაზიარებას და მაქსიმალურად ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას.
პროგრამის სწავლის შედეგი	თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის პროფესიულ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე. პროგრამით მიღებული განათლება წარმოადგენს წარმატების საფუძველს შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს კურსდამთავრებულს ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები და მათთან თანხვედრილი დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები: **1. ცოდნა და გაცნობიერება** 1. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისათვის აუცილებელი სისტემური ცოდნა, რომელიც დაეხმარება ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების პოვნაში; 2. ფინანსების კონკრეტული ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვიცნობიერება; 3. მარკეტინგის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და მარკეტინგული კომპლექსისა და ფუნქციურ არეებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვიცნობიერება; 4. კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვიცნობიერება;

5. ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვიცნობიერება;
6. ორგანიზაციის ოპერაციული და სტრატეგიული დაგეგმარება-ოპერირების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა;
7. კვლევის მეთოდებსა და მიდგომებში ღრმა და სისტემური ცოდნა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

1. დამოუკიდებლად მუშაობისა და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
2. ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი;
3. ფინანსური უწყისების აგებასთან, ბუღალტერიაში არსებული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებასთან და საბუღალტრო წარმოების აუდიტითან დაკავშრებული კომპლექსური პრობელემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
4. ფინანსური სტრატეგიისა და/ან ფასიან აქტივებთან დაკავშირებული ქმედებების განსაზღვრის და შესრულებისათვის საჭირო უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება და, ამით არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება;
5. ორგანიზაციისათვის სხვადასხვა ბიზნეს-ფუნქციურ არეში ბიზნეს-სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების (მათ შორის ორგანიზაციის სტრატეგიის, მარკეტინგული სტრატეგიის, საოპერაციო საქმიანობის, საკადრო პოლიტიკის და ა.შ.) ჩამოყალიბება-განხორციელებაში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება, რაც დაეხმარება ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ ბიზნესგარემოში დამოუკიდებლად მოქმედებას;
6. კომპლექსური მარკეტინგული პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
7. ორგანიზაციის მართვასთან ან/და ფუნქციონირებასთან ან/და ხარისხის მართვასთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
8. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

3. დასკვნის გაკეთების უნარი

1. რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი;
2. რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის უნარი;
3. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი
4. სისტემური აზროვნების უნარები

4. კომუნიკაციის უნარი

	1. ქართულ ენაზე აკადემიურ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმეტნაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაცია; 2. ქართულ ენაზე პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმეტნაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით დასკვნების, არგუმეტნაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან 4. ინტერდისციპლინარულ ჯგუფში და არასპეციალისტებთან მუშაობისა და დასკვნების, არგუმენტაციისა და შედეგების კომუნიკაციის უნარი **5. სწავლის უნარი** 1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი 2. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების, განსაზღვრისა და, შესაბამისად, მოქმედების უნარი 3. სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი **6. ღირებულებები** 1. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ბიზნეს-მართვისათვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი 2. ბიზნესის ეთიკურად მართვის მიდგომების შეფასებისა და, შესაბამისად, მოქმედების უნარი
დასაქმების სფეროები	კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები ხსნიან და იწყებენ საკუთარი ბიზნესის მართვას, იკავებენ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციებს სპეციალობების მიხედვით, როგორც კერძო სექტორშო, ასევე საჯარო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება ბიზნესის ნებისმიერ სექტორში ხდება: ➢ საბანკო ინდუსტრია ➢ სადაზღვეო ინდუსტრია ➢ სხვა ფინანსური ინსტიტუტების ინდუსტრიები ➢ აუდიტორული ინდუსტრია ➢ ტელესაკომუნუკაციო ინდუსტრია ➢ ფარმავცეტული ინდუსტრია ➢ ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია ➢ სარეკლამო ინდუსტრია ➢ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია ➢ სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია ➢ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები ➢ არასამთავრობო სექტორში და ა.შ. უნივერსტეტის კურსდამთავრებულთა დეპარტამენტის ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ყოველწლიური კვლევებით დასტურდება რომ ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების პროცენტი 95%-ს აჭარბებს. კურდამთავრებლებზე მაღალი ხარისხობრივი შეფასებებია მიღებული დამსაქმებლების მხრიდან. პროგრამის კურსდამთავრებულთა ცოდნა და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე მეტყველებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, პრეზენტაცია, ესსე და ა.შ.);
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☐ სემინარი ☐ პრაქტიკული ☒ ბიზნეს ქეისების ანალიზი

☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ პროექტები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატების მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი
- გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი

- სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების ტრიმესტრი
ეკონომიკა მენეჯერთათვის	ეკონომიკა მენეჯერთათვის მოიცავს ეკონომიკის პრინციპებს და გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგიას, რომელიც ღირებულია რისკიან და არასტაბილურ გარემოში. კურსი შეასწავლის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოთხოვნის თეორია და ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, ბიზნეს და ეკონომიკური მიმართულებების პროგნოზირება, პროდუქციის თეორია და ანალიზი, ღირებულების თეორია და ანალიზი, წრფივი პროგრამირება, ჯანსაღი კონკურენცია და მონოპოლია, მონოპოლიური კონკურენცია, ოლიგოპოლია და ინდუსტრიაში შეღწევის ბარიერები, თამაშის თეორია და სტრატეგიული მოქმედება, საქონელისა და სერვისის ღირებულების დაანგარიშების მექანიზმი, რისკი და გადაწყვეტილების მიღება.	სავალდებულო	5	I
სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის	ეს კურსი იძლევა სტატისტიკური ანალიზის საბაზისო ცოდნას, რომელიც აუცილებელია მენეჯერისათვის გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც გულისხმობს დაგეგმვის, პრობლემის იდენტიფიკაციის და გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ასპექტებს. კურსი მოიცავს ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო ძირითად დესკრიპციულ მეთოდებს და ასწავლის სტატისტიკური დასკვნების საფუძვლებს, მოდელების აგებას და პროგნოზირებას, მონაცემთა განაწილებას და შეფასებას, ხარისხის მართვას. მასალის გამტკიცებისათვის გამოყენებულია კომპიუტერული სავარჯიშოები და სავარჯიშოები რეალური ბიზნეს სიტუაციებიდან.	სავალდებულო	5	I
ფინანსური აღრიცხვა ფინანსური გადაწყვეტილებისათვის	ამ კურსში ძირითადი აქცენტი კეთდება საბუღალტრო ციკლზე, ბალანსისა და მოგება-ზარალის უწყისზე, ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისზე, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზზე, მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების მოდელებზე, ფინანსური პროცესების გაზომვაზე. კურსი ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გაყიდვების ბუღალტერია, ინვენტარის და გაყიდული საქონელის ღირებულების დაანგარიშება, გრძელვადიანი აქტივების და ღირებულების განსაზღვრა, აქციონერთა წილის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება.	სავალდებულო	5	I

აკადემიური წერა	თანამედროვე ბიზნეს გარემოში ძალიან დიდი ყრადღება ეთმობა ეფექტურ, სწორად გახნორციელებულ კომუნიკაციას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი რომელიც მენეჯერმა უნდა გამოავლინოს თავისი საქმიანობის დროს არის, კომუნიკაცია. მათ უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები, წარმართონ კრებები, უზრუნველყონ უკუკავშირის შესრულება და უხელმძღვანელონ ახალ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. მენეჯერი არის საკომუნიკაციო რგოლი ორგანიზაციას და პარტნიორებს შორის, მან სწორად უნდა განსაზღვროს ინფორმაციის მოცულობა, მიწოდების ფორმატი, დრო და ადგილი. სტუდენტები შეისწავლიან სხცადასხვა სტრატეგიებსა და ტექნიკებს წერითი, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების საწარმოებლად.	სავალდებულო	5	I
ბიზნესის მოდელირება	ეს საგანი ასწავლის სტუდენტს თუ როგორ შეიძლება ბიზნეს პრობლემების გადაჭრა რეალობის მოდელირების მეშვეობით. არსებობს მთელი რიგი ბიზნეს პრობლემებისა და ამოცანებისა, რომელთა გადაწყვეტას სჭირდება სერიოზული მათემატიკური თუ სტატისტიკური ანალიზი. ხშირად ასეთი ანალიზი ძნელი განსახორციელებელია. სიტუაციის მატემატიკური მოდელირება, მოდელის ფარგლებში ამოხსნა და ამოხსნის ბიზნეს რეალობამდე ინტერპრეტაცია არის ის რაც წარმოადგენს ამ საგნის მიზანს. კურსის მსვლელობისას განიხილება ისეთი ტექნიკები როგორიცაა სიმულაცია, მონტე კარლოს ანალიზი, წრფივი პროგრამირება, ქსელის ალგორითმები, თუ სხვა.	სავალდებულო	5	II
ორგანიზაციული ქცევა	ორგანიზაციული ქცევა მოიცავს ადამიანური ქცევის თეორიას ორგანიზაციებში – აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ განსხვავებებსა და ჯგუფურ ქცევას შორის გლობალურ ბიზნეს გარემოში. ორგანიზაციული ქცევა მულტიდისციპლინარული საგანია და ეხება ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებსაც. თავები შეიცავს ორგანიზაციული ქცევის ახალ თეორიებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, სოციალიზაციას, კულტურას, სტრესს, სამსახურეობრივი ცხოვრების ხარისხს, ქმედითუნარიანი ჯგუფების შექმნას, ორგანიზაციულ სწავლას, სამსახურეობრივი გარემოებების სხვადასხვაობას და საერთაშორისო ურთიერთობებს.	სავალდებულო	5	II

სისტემები და ოპერაციების მენეჯმენტი	აღნიშნული კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ორგანიზაციული სისტემების და ოპერაციათა მართვის სრულყოფა. აქცენტი გაკეთებულია როგორც საწარმოო ასევე სერვის ორგანიზაციების სისტემებზე, რომლებიც აწარმოებენ საქონელს ან მომსახურებას, რომლითაც ორგანიზაცია უზრუნველყოფს თავის მომხმარელებლს. კურში წარმოდგენილია ისეთი საკითხები, როგორიცაა, ოპერაციული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა, ადგილმდებარეობის შერჩევა და საწარმოო ორგანიზება, ხარისხის კონტროლის მექანიზმები, პროექტების მართვა.	სავალდებულო	5	II
კორპორაციული ფინანსები	საგანი შეისწავლის კორპორაციული ფინანსების თეორიულ პრობლემებს. მასში განხილული თემებია: შიდა და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები, რისკსა და უკუგებას შორის კავშირი, ფინანსური ანალიზი და პროგრამირება, მიმდინარე აქტივების ვალდებულებები, მოკლევადიანი ფინანსირება, ძირითადი აქტივების შერჩევა და გადაფასება. გრძელვადიანი საფინანსო სტრატეგიები და დივიდენდის გადახდის პოლიტიკა, ვინაიდან წასაკითხი მასალა გამიზნულია ფინანსური მენეჯმენტის კონცეპტუალური ჩარჩოს წარმოსადგენად. ქეისების ანალიზი, ჯგუფური გამოკვლევის პროექტები და პრეზენტაციები ემსახურებიან, მიღების თეორიის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ყურადღება გამახვილებულია კორპორაციის ფინანსების მართვაზე და არა რომელიმე სპეციფიკურ სიტუაციაზე ან პრობლემაზე და მის გადაწყვეტაზე. ეს პოლიტიკა გავლენას ახდენს კორპორაციის აქციების საბაზრო ღირებულებაზე.	სავალდებულო	5	II
მარკეტინგის მენეჯმენტი	კურსის მიზანია მარკეტინგის ფუნქციონირების მენეჯერული ასპექტების შესწავლა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კრიტერიუმებზე, მარკეტინგული ალტერნატივების შეფასებასა და ამ ალტერნატივებიდან ერთ-ერთის ამორჩევაზე. ეს კურსი შეიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მარკეტინგული გამოკვლევა, პროდუქციის ინტენსიფიკაცია, რეკლამა, გასაღების სტიმულირება, გაყიდვების მართვა, ღირებულებისა და მოთხოვნის ანალიზი, კონკურენცია, ფასწარმოქმნის მექანიზმი, შეფუთვა და გასაღების არხები.	სავალდებულო	5	III

მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს მოლაპარაკების წარმოებისათვის აუცილებელი სტრატეგიული და ტაქტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. საგანი ძირითადად ორიენტირებულია მოლაპარაკების დაგეგმის, გაძღოლის, ინტერესთა მართვის, ღირებულების შექმნისა და დანაწილების მეთოდებზე. სასწავლო კურსი მოიცავს მოლაპარაკების წარმოების ზოგად მეთოდებს და გამიზნულია სტუდენტს შეასწავლოს განაწილებადი და ინტეგრირებადი მოლაპარაკებების ფართო მექანიზმები. ასევე, სტუდენტები გაიაზრებენ მომლაპარაკებელთა უნიკალურ სტილს, საერთაშორისო და კოალიციურ მოლაპარაკებებს, კრეატიულობასა და ნდობის მექანიზმებს.	სავალდებულო	5	III
მენეჯერული აღრიცხვა და კონტროლი	მენეჯერული აღრიცხვის სისტემა ეხმარება ორგანიზაციას ოპერაციების დროს გადაწყვეტილების მიღებაში, ღირებულებათა გაკონტროლებაში, შედეგების გაზომვაში, თანამშრომელთა მოტივაციასა და გარე ურთიერთობების მართვაში. როლების მრავალგვარობა იწვევს ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებს რაც გულისხმობს ოპტიმალური სისტემის დიზაინში ცვლილებებს. ეს კურსი ყურადღებას ამახვილებს ამ ცვლილებებზე ორგანიზაციის სტრუქტურის, დაგეგმვისა და კონტროლის ურთიერთდამოკიდებულების ხაზგასმით. კურსის მიზანია საბუღალტრო ინფორმაციის მართვის საჭიროების გაგება და გამოყენება ორგანიზაციისთვის. შესაბამისად კურსი ყურადღებას ამახვილებს ღირებულების მონაცემთა მართვაზე.	სავალდებულო	5	III
საინფორმაციო ტექნოლოგიები და გადაწყვეტილების მიღების სტრატეგია	ეს კურსი შექმნილია მენეჯერებისათვის, რომელთაც სჭირდებათ, გაიგონ საინფორმავიო ტექნოლოგიების როლი და პოტენციური წვლილი ორგანიზაციებში. ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ კომპიუტერული დახმარების სისტემები გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ეს კურსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს საინფორმაციო ტექნოლოგია მენეჯერებს ინფორმაციის მოძიებაში, მონაცემთა ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღებაში. კურსი აგრეთვე ხაზს უსვამს კომპიუტერზე დაყრდნობილ ინფორმაციული სისტემის სტრატეგიულ როლს ორგანიზაციაში, ასწავლის ინფორმაციის მოპოვებისა და	სავალდებულო	5	III

	განვითარების საშუალებებს.			
ბიზნესის კვლევის მეთოდები	ეს კურსი შეასწავლის სტუდენტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვასა და მართვას ბიზნესის სფეროში. კურსი მოიცავს კვლევის წარმართვის ისეთ მნიშვნელოვან საფეხურებს, როგორიცაა: საკვლევი პრობლემის განსაზღვრა, კვლევის დიზაინის დაგეგმვა, აღჭურვა და სკალის შედგენა, საოპერაციო საზომების იდენტიფიკაცია, მონაცემთა შეგროვება, ინტერპრეტაცია და კვლევის შედეგების პრეზენტაცია ხელმძღვანელობასთან. კურსი მოიცავს ორივე – რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევის მეთოდოლოგიას, თუმცაღა ძირითადი აქცენტი იქნება გამოკითხვის მეთოდოლოგიაზე, რადგან ეს ყველაზე პოპულარული და საჭირო მიდგომაა ბიზნესის ანალიზის სფეროში.	სავალდებულო	5	IV
სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსი მოიცავს ორგანიზაციის, როგორც ერთი მთლიანის ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი დანაყოფის მართვას საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში. ის აყალიბებს მენეჯერის მოვალეობას, რაც გულისხმობს მრავალი ბიზნეს ფუნქციის გაერთიანებას მრავალეროვანი ორგანიზაციის წარმატებით სამართავად. თემები შეიცავენ ორგანიზაციის კომპეტენციის განხილვას საგარეო კლიმატსა და საერთაშორისო პირობებში, ბიზნესის განვითარების კორპორაციულ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ბაზრისკენ და, რა თქმა უნდა, საშინაო პროცესების მართვას, რაც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიის წარმატებით გატარებისათვის.	სავალდებულო	5	IV
საგადასახადო საქმე	საგანი შეისწავლის შემდეგ საკითხებს: გადასახადის ცნება, ნიშნები, სტრუქტურა კლასიფიკაცია; საგადასახადო სამართალი და საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობები; საგადასახადო სისტემა; საგადასახო სამართლის წყაროები; საგადასახადო კანონმდებლობა; საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები; საგადასახადო სამართლის სუბიექტები; საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; მოგების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. დამატებითი ღირებულების გადასახადი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; აქციზის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; იმპორტის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; ადგილობრივი გადასახადები; ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა	სავალდებულო	5	V

	და გადასახდის წესი.			
მეწარმეობა და საწარმო	ეს კურსი განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც შეიძლება აირჩიონ თავიანთი კერძო ბიზნესი როგორც დიდ კომპანიაში მუშაობის ალტერნატივა. კურსში სტუდენტები შეისწავლიან მეწარმის დამოუკიდებელი ცხოვრების წესს. განხილული იქნება აქტუალური ბიზნეს შესაძლებლობები ჯგუფური პროექტების სახით. სტუდენტები შეისწავლიან მეწარმის მნიშვნელობას და მიმართებას კომპანიის ზრდის პროცესში. კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მუშა ჯგუფები, როგორც ორგანიზაციული შესრულების გაუმჯობესების საშუალება, გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების შექმნა, მუშა ჯგუფის შესრულებული საკითხები, გუნდების ტრეინინგი და განვითარება, გუნდის ჩამოყალიბების პროგრამები და ლიდერობა გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებში. გაეცნობიან საერთაშორისო სამეწარმეო გამოცდილებას, მეწარმისათვის აუცილებელ სამართლებრივ საკითხებს.	არჩევითი	5	IV-V
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	ამ კურსის ძირითადი მიზანია გააცნოს სტუდენტებს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ფუნქციები და პროცედურები რომელთა გამოყენების გამოცდილებაც აქვთ ძირითადად საშუალო და დიდ ორგანიზაციებს. კურსი ძირითადად ეყრდნობა ადამიანური რესურსების მართვის უახლეს და მნიშვნელოვან კვლევებს და ინდუსტრიალ ფსიქოლოგიას. ზოგიერთი თემა ამ კურსში შეიცავს სტრატეგიულ ადამიანური რესურსების მართვას, ტესტების შეფასებას, საქმიანობის შეფასებას, სამსახურის ანალიზს, თანამშრომელთა შერჩევის პროცესს, დატვირთვის თანაბარ გადანაწილებას და დასაქმებულთა გადამზადებას.	არჩევითი	5	IV-V
ორგანიზაციული თეორია	კურსი სტუდენტებს შეასწავლის ორგანიზაციის რესურსებს, მათ დიზაინს და განვითარებას. კურსი წარმოადგენს ორგანიზაციული ანალიზის მაკრო კონტექსტში შესწავლას, განსხვავებით ორგანიზაციული ქცევის კურსისაგან, რომელიც ორგანიზაციას განიხილავს მიკრო კონტექსტში. ამ კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს განიხილონ ორგანიზაციის სტრუქტურა და დიზაინი	არჩევითი	5	IV-V

	ანალიტიკურ კონტექსტში. ორგანიზაციები არის ის ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც ძირითადი ეკონომიკური და სოციალური აქტივობა ხორციელდება. ორგანიზაციული სტრუქტურა და ის თუ რამდენად არიან ადამიანები და მათი აქტივობები დაჯგუფებული ორგანიზაციებში აერთიანებს ამ ჯგუფებს და იძლევა შესაძლებლობას ორგანიზაციის მიზნების განხორციელებისათვის.			
კორპორაციული მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა	კურსში განხილული იქნება კორპორაციული მართვის არსი და საჭიროება. დღეს არსებული ორი ძირითადი კონცეფცია: ინგლისურ/ჩრდილო ამერიკული და კონტინენტურ ევროპული (გერმანია)- იაპონური. ნაჩვენები იქნება ამ ორი მოდელის ძლიერი და სუსტი მხარები. კურსში ნაჩვენები იქნება თუ როგორ შეიძლება იყოს აღებული მათგან საუკეთესო მხარეები მესამე მოდელის შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ორგანიზაციის მთლიანი რისკის მართვის სისტემას. განხილული იქნება პრაქტიკული კეისები მათ შორის ლონდონის სააქციო ბირჟის მხრიდან კორპორაციული მართვის მოთხოვნების შესახებ და თუ როგორ ასრულებს მას ქართული ორგანიზაციები. განხილული იქნება ევრიკავშირის ნაბიჯები შექმნას კორპორაციული მართვის საერთოევროპული კონცეფცია.	არჩევითი	5	IV-V
ინოვაცია და ცვლილებების მართვა	ეს კურსი განკუთვნილია სამაგისტრო სწავლების მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტებისთვის. მოცემული კურსი მოიცავს ყველა იმ ძირითად საკითხსა და პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ ცვლილებასთან და ინოვაციურობასთან. კერძოდ განმარტოს ცვლილების აგენტის უნარები, დიზაინი და ხელმძღვანელობის არჩევანი, ცვლილების სტილი და სამიზნე ბაზარი, ცვლილების მიზანი, მისია და ა.შ. კურსი ძირითადად ეფუძვნება ინოვაციისა და ცვლილებების უახლეს კვლევებს.	არჩევითი	5	IV-V
ლოჯისტიკა	ეს კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გადასცეს ლოჯისტიკის ინდუსტრიისა და მის მონათესავე სფეროების სისტემური ცოდნა. სტუდენტები შეისწავლიან დისტრიბუციის არხების ეფექტურ მართვას და მასთან დაკავშირებულ ასსპექტებს, როგორიცაა სატრანსპორტო კომპანიებთან, ბითუმად და საცალო მოვაჭრეებთან ურთიერთობის წარმართვის საკითხებს. კურსი ასევე განიხილავს ლოჯისტკის ისტორიული და თანამედროვე საკითხები. იქნება	არჩევითი	5	IV-V

	მოყვანილი ქართული და საერთაშორისო ლოჯისტიკის ისეთი მაგალითები რომლებიც სტუდენტებს მისცემს იმის საშუალებას რომ გაიაზროს სფერო გლობალურად და გააკეთოს საკუთარი დასკვნები.			
ლიდერობა	ეს საგანი გამიზნულია მაგისტრანტებს მისცეს თანამედროვეობის ძირითადი მენეჯერული გამოწვევის ლიდერობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. საგანი შეისწავლის ისეთ თემებს როგორიცაა ლიდერისა და თანამშრომლის ურთიერთობა. ურთიერთობის განვითარების მექანიზმები. ლიდერის თვისებები და პიროვნული მახასიათებელები. ზეგავლენა, მოტივაცია, ძალაუფლება, კავშირები და გუნდური ურთიერთობები, გუნდური ლიდერობა და თვითმართული გუნდები. ქარიზმატული და ტრანსფორმაციული ლიდერები. სტრატეგიული ლიდერობა და ცვლილებების მართვა.	არჩევითი	5	IV-V
ფინანსური აქტივების შეფასება	კურსი ანვითარებს აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს ფინანსების სპეციალობის ყველა სპეციალისტი. თემებია: უცხოური ფასიანი ქაღალდების ბაზრები, უვადო წილობრივი ფასიანი ქაღალდების (აქციების) მომგებიანობის და რისკის შეფასება; საპროცენტო განაკვეთის რისკი, ობლიგაციების (ვადიანი ფასიანი ქაღალდების) შეფასება; ვადის სტრუქტურის თეორია; წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრები: ოფციონების ბაზარი და ოფციონის შეფასების შესავალი, ფიუჩერსების ბაზრები, შეფასება; თანამედროვე პორტფელის თეორია. რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენება ყოველ თემასთან კავშირში.	არჩევითი	5	IV-V
ფინანსური ანალიზი და სესხების სტრუქტურირება	ეს კურსი ითვალისწინებს, შეასწავლოს სტუდენტებს, თუ როგორ ხდება ბიზნესის ანალიზი, მისი დაფინანსების საჭიროებების განსაზღვრა და ფინანსური სტრუქტურების დიზაინი მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (თავდაპირველად, კერძო ვალი). ძირითადი აქცენტი კეთდება კრედიტის ანალიზზე. სწავლების ძირითადი მეთოდია ბიზნეს სიტუაციების ანალიზი. კურსის მთავარი მიზანია განუვითაროს სტუდენტებს ლოგიკური აზროვნება და საკომუნიკაციო რჩევები. შემთხვევათა მიქსი მოიცავს ყველა ზომის კომპანიებს მცირე და საშუალო ზომის ფირმების ჩათვლით. სტუდენტებს აქვთ საშუალება, შეაფასონ და გამოთვალონ ბიზნესის მრავალფეროვნების საჭიროებანი, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ტიპის, მრეწველობის, მომგებიანობის, ზრდის ციკლისა	არჩევითი	5	IV-V

	და არამომგებიანობის ხარისხის მიხედვით.			
გლობალური პორტფელის მენეჯმენტი	მოცემული კურსი სტუდენტებს სთავაზობს გლობალური პორთფელის მენეჯმენტის პრინციპების სისტემურ განხილვას. ძირითადი აქცენტი კეთდება ბაზრის მიკროსტრუქტურაზე, ობლიგაციებისა და არაფიქსირებული დივიდენდის მქონე აქციების პორტფელის მენეჯმენტზე და საერთო აქტივების განაწილებაზე. პორტფელის მენეჯმენტის პრაქტიკული ასპექტების გაცნობა ხდება ლექციებისა და ჟურნალების სტატიების საკლასო განხილვის შედეგად. მრავალფეროვანი მასალა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტმა გაიაზროს თემის სიღრმეები ისე, რომ შეძლოს საკუთარი დასკვნების გამოტანა როგორც ზოგადად მიმართულებაზე, ისე კონკრეტულად მონაცემებზე დაყრდნობით.	არჩევითი	5	IV-V
კორპორაციული ფინანსები - გაძლიერებული კურსი	ეს არის კორპორატიული ფინანსების გაძლიერებული კურსი, რომელიც ეყრდნობა იმ ცოდნას რაც უკვე მიღებულია კორპორაციული ფინანსების და ფინანსური აქტივების შეფასების კურსის გავლისას. საკითხების დასახელება იგივეა რაც კორპორაციულ ფინანსებში, მაგრამ ხდება უფრო გაღრმავება და პრობლემის ფარდოდ გაშლა. ამ კურსში განხილული საკითხებია: ფინანსური უწყისის ანალიზი, ფასიანი ქაღალდების შეფასება, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუციები, კაპიტალის ბიუჯეტირება, პროექტის ანალიზი და შეფასება, კაპიტალის დანახარჯი, კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, გაერთიანებები, შესყიდვები და კორპორატიული რესტრუქტურიზაცია.	არჩევითი	5	IV-V
ფინანსური სისტემა	კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს მიიღონ ფუნდამენტური ცოდნა ფინანსური ინსტიტუტების შესახებ და აჩვენოს მათ, როგორ შეიძლება ამ ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში. კურსი შეისწავლის ისეთ საკითხებს როგორიცაა: ფული, გადასახადები, ინფლაცია და სარგებლის განაკვეთი; ფინანსური ინსტიტუტების მიმოხილვა; ფინანსური ბაზრების მიმოხილვა; ფიქსირებული შემოსავლები და საკუთრების ბაზრები; იპოთეკა, გაცვლა და საკრედიტო ბაზარი ფიუჩერსების, ფორვარდებისა და ოპციონების ბაზრები; ფედ-ის მიმოხილვა; კომერციული ბანკები, საერთაშორისო "ბანკინგი"; სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები; საინვესტიციო	არჩევითი	5	IV-V

	ბანკები, რისკიანი ინვესტორები; საბროკერო კომპანიები და ორმხრივი ფონდები; ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება.			
მულტინაციონალური კორპორაციების ფინანსური მართვა	საერთაშორისო კომპანიები არიან დღევანდელი გლობალური ეკონომიკის ძირითადი მოთამაშეები. ისინი აკონტროლებენ კერძო კაპიტალის უდიდეს ნაწილს, ასევე არიან ბიზნეს და ფინანსური სფეროს პროფესიონალთა უდიდესი ნაწილის დამსაქმებლები. საერთაშორისო კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტთა სწავლა საქართველოს საბანკო და ფინანსური სექტორის პროფესიონალთათვის უმნიშვნელოვანესია. მათ უფრო და უფრო მეტად მოუწევთ მომავალში თანამშრომლობა. კურსში განხილული მნიშვნელოვანი საკითხებია: კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების ანალიზი, უცხოური ფასიანი ქარალდების შაფასება, საერტაშორისო კაპიტალის ბიუჯეტირება, საერთაშორისო პროექტების შეფასება, საერთაშორისო საბანკო საქმე, გობალური რისკების მენეჯმენტი, კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია საერტაშორისო ჭრილში.	არჩევითი	5	IV-V
ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს მიიღონ ფუნდამენტური ცოდნა ფინანსური ინსტიტუტების შესახებ და აჩვენოს მათ, როგორ შეიძლება ამ ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში. კურსის მსვლელობის დროს სტუდენტები გაიაზრებენ ისეთ სიღრმისეულ საკითხებს როგორიცაა: ფიუჩერსების, ფორვარდებისა და ოპციონების ბაზრების, კომერციული ბანკების, საერთაშორისო "ბანკინგის" სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების, საინვესტიციო ბანკების როლს. ასევე, საბროკერო კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირებას.	არჩევითი	5	IV-V
ინვესტიციები და ბანკები	მოცემული კურსი წარმოადგენს ფინანსური სპეციალობის ინვესტიციების მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ საგანს. საგანი გამიზნულია ინვესტიციაბის თემების მიმართულებით სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა შეძლოს ანალიზი საინვესტიციო რეალობისა როგორც კორპორაციულ ასევე ინდივიდუალურ დონეზე. კურსი შედგება ინვესტიციებისა და ბანკების განმარტებისგან, მოიცავს საბანკო ინდრუსტიის ისტორიას, სტრუქტურას, ტენდენციებს და მთავარ მოთამაშეების შესწავლას. ეს ყოველივე შეისწავლება ქართულდა საერთაშორისო ბაზრების მაგალითებზე.	არჩევითი	5	IV-V

ფინანსური მენეჯმენტი პრაქტიკაში	კურსი ფინანსური მენეჯმენტი პრაქტიკაში ფინანსური ანალიზისა და მართვის მაქსიმალურად პრაქტიკული უნარების გაღრმავებაზეა ორიენტირებული. სწავლება მოიცავს როგორც ფინანსური ანალიზის სხვადასხვა ტექნიკების გაცნობას, ასევე რეალური ქართული და უცხოური ბიზნეს მაგალითების დეტალურ ანალიზს. განხილულ იქნება როგორც მსოფლიოში გავრცელებული და პოპულარული ქეისები, ასევე ქართული კომპანიების რეალური წლიური ფინანსური ანგარიშგებები. ფინანსური მენეჯმენტი პრაქტიკაში კი მთავარ მიზნად ისახავს ამ სხვადასხვა მეთოდის პრაქტიკაში ერთობლივად გამოყენებას და რეალური ბიზნეს მაგალითების განხილვის გზით ფინანსური ანალიზის მაქსიმალურად პრაქტიკული უნარების შეძენას.	არჩევითი	5	IV-V
საერთაშორისო ფინანსები	სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა საერთაშორისო ფინანსებში. კერძოდ, შეასწავლოს საერთაშორისო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, რომელიც მეტად საჭიროა ბიზნესის განხორციელების საქმეში. სასწავლო კურსში სტუდენტი უნდა გაეცნოს შემდეგ თემატიკას: საერთაშორისო ფინანსების სისტემა და ბაზარი, საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა და სამართალი, სავალუტო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი, საერთაშორისო ლიზინგი როგორიცაა დაკრედიტების და დაფინანსების ფორმა, საერთაშორისო საბანკო საქმე და სხვა. სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს საერთაშორიო ბიზნესში ცალკეული ფინანსური პრობლემების გადაჭრის გზები.	არჩევითი	5	IV-V
ფინანსური რისკების მართვა	ეს კურსი გულისხმობს კორპორაციული ფინანსების შესწავლას. მისი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეცოდინება თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების, ტექნიკისა და მეთოდების თეორიული და პრაქტიკული გამოყენება. კურსი საფუძველს შეუქმნის ფინანსების მიმართულების	არჩევითი	5	IV-V

	სტუდენტებს სპეციალობის უფრო რთული საგნების დაუფლებისთვის ან სხვა სპეციალობის სტუდენტებს მისცემს მინიმალურ საჭირო ცოდნას ფინანსებში.			
მომხმარებლის ქცევა	ეს კურსი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს შეისწავლონ მყიდველთა ქცევა, მათი საქონელი და სერვისი. კურსის მიზანია, გაზარდოს სტუდენტის წარმოდგენა მყიდველებსა და მათ ქცევაზე და უზრუნველყოფს სტუდენტს სათანადო გამოცდილებით, რათა გამოიყენოს ეს ცოდნა მარკეტინგის მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი შესწავლის ობიექტია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ცხოვრების სტილის ანალიზი, ორგანიზაცია, ინდივიდუალური და ოჯახური გადაწყვეტილებების მიღება, მომხმარებლობა, ქცევის მოდელები, დამოკიდებულების შექმნა და შეცვლა, ინფორმაციის მოძიება და ბაზრის სეგმენტაცია, რაც ისწავლება კითხვის, პროექტებისა და შემთხვევების განხილვების გზით.	არჩევითი	5	IV-V
მარკეტინგული კვლევა	მარკეტინგული კვლევის მიზანია, მოახდინოს ინფორმაციის შეგროვება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების მიზნით. ეს კურსი ფოკუსირებას ახდენს იმის განსაზღვრაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა. კურსი განიხილავს საკითხებს, როგორც მენეჯერის, ასევე მკვლევარის კუთხიდან. ეს კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მარკეტინგული კვლევის საფეხურები, კვლევის პრობლემის განსაზღვრა და მიზნები; კვლევის დიზაინი, მეორადი და პირველადი ინფორმაციის შეგროვება; გამოკითხვის/დაკვირვების კითხვარების მომზადება; რესპოდენტთა შერჩევის მეთოდოლოგიის და შერჩევის ზომის განსაზღვრა; შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, შედეგების ანგარიშის და პრეზენტაციის მომზადება.	არჩევითი	5	IV-V
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია	ეს კურსი ფოკუსირდება მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმარებაზე, შესრულებასა და კონტროლზე. სტუდენტები სწავლობენ მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა ფორმებს, სოციალურ და ეთიკურ საკითხებს, მედია სტრატეგიებს, რეკლამირების, გაყიდვის დაჩქარების, პირდაპირი მარკეტინგისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩათვლით (გაყიდვის	არჩევითი	5	IV-V

	მენეჯმენტი, რომელიც აგრეთვე გარანტირებული მთლიანობის ნაწილია). კურსი კომბინირებულია მენეჯერული მიდგომისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის პერსპექტივებისაგან. იგი აჩვენებს, თუ როგორ ირეკლავს და ზემოქმედებს მარკეტინგული კომუნიკაცია გარემოზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.			
გაყიდვების მენეჯმენტი	ეს კურსი საზღვრავს სტრატეგიული კომერციული პროგრამის როლსა და ფორმულირებას. სპეციალური საკითხები მოიცავს ფაქტორებს, რომელთაც წამყვანი ადგილი უჭირავთ პროგრამაში და განაპირობებენ მის წარმატებულ დამთავრებასა და შედეგების შეფასებას. სპეციფიკური თემები მოიცავს რეალიზაციის პროგრამაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედებას, რეალიზაციის მენეჯმენტის საშუალებებით გამყიდველის ქცევის წარმართვის, გასაღებისა და ხარჯების ანალიზის საკითხებს. განხილულია რეალიზაციის სხვადასხვა მენეჯმენტის თემა, როგორებიცაა: ტერიტორიული მოწყობა, მოტივაცია, ანაზღაურება და ეთიკა. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონცეპტუალურ და თანდართულ ინფორმაციას, რათა უზრუნველყოს გაყიდვების მენეჯმენტის ბალანსური აღწერა.	არჩევითი	5	IV-V
სადისტრიბუციო არხების მართვა	ეს კურსი ასწავლის სტუდენტებს სხვადასხვა ინსტუტუციების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დეტალურ ანალიზს რომლებიც იყენებენ მარკეტინგულ კვლევებს. ყურადღება ნაწილობრივ გადატანილია თავად ინსტიტუციებზე (მაგ: მწარმოებლები და ცალობით მოვაჭრეები, საბითუმო მოვაჭრეები, ლიცენზიის გამცემები და ლიცენზიის მომხმარებლები) კურსის ძირითადი აქცენტი კეთდება გასაღების არხის არჩევის გადაწყვეტილებებსა და ამ არხების მართვაზე. მაგალითად: მარკეტინგული არხები - სტრუქტურა, ფუნქციები & ურთიერთკავშირი; არხების შუამავლები -საბითუმო ვაჭრობა; დისტრიბუციის ლოგისტიკა - სტრუქტურა და სტრატეგია; არხების დაგეგმვა - არხების სისტემების დიზაინი; ორგანიზაციული მოდელები მარკეტინგულ არხებში; მარკეტინგული არხების მართვა; მარკეტინგული არხების პოლიტიკა & პოტენციური ლეგალური ძალდატანება; საინფორმაციო სისტემები და არხების მენეჯმენტი; მარკეტინგული არხების შემოთავაზებების შეფასება.	არჩევითი	5	IV-V

პროდუქტების მართვა	ეს კურსი მოიცავს ახალი პროდუქტის განვითარების საწყისი საფეხურების შესწავლას, კერძოდ: ახალი პროდუქტისათვის შესაძლებლობების იდენტიფიცირების, დიზაინის შემუშავების, ტესტირებისა და განხორციელების პროცესებს. ეს კურსი ეძღვნება როგორც ახალი პროდუქტის შექმნის პროცესის მართვის საკითხებს ასევე არსებული პროდუქტის გაუმჯობესებისა და კომპანიის პროდუქტთა პორტფელის ბაზარზე ეფექტურად პოზიცირების საკითხებს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ შეისწავლონ მარკეტინგული კვლევის პროცესი ახალი პროდუქტისათვის. ასევე ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ საკუთარი შემოქმედებითობა იდეების გენერირების პროცესში პროექტის მოსამზადებლად. ამ კურსის ძირითადი თემებია: იდეის გენერირება, ფასეულობის განსაზღვრის კონცეფცია, ოპტიმალური პროდუქტის დიზაინი, მარკეტინგული ტესტირება, პროდუქციის პოზიციონირება, ბაზრის სეგმენტაცია, საბაზრო წილის შეფასება, შეფუთვა, სარეკლამო ტესტირება და ფასწარმოქმნა.	არჩევითი	5	IV-V

სერვის ორგანიზაციების მარკეტინგი	ეს კურსი შექმნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მომსახურების ინდუსტრიით ან მუშაობით სამომსახურეო-სამეწარმეო ბიზნესში. კურსის მიზანია: უნიკალური პრობლემების გაგება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის მომსახურების განვითარებას და მიწოდებას და ამ სტრატეგიების გამოყენებას ბიზნესის კონტექსტში. ეს კურსი ასევე მოიცავს შემდეგ საკითხებს: მომსახურებასთან დაკავშირებული მომხმარებელთა მოლოდინები, სერვისის აღქმა მომხმარებელთა თვალთახედვიდან, მომხმარებელთა ქცევა სხვადასხვა მომსახურების დროს მომხმარებელთა მოსმენა მარკეტინგული კვლევის გავლით, მომხმარებელთა ურთიერთკავშირის აგება, სერვისის განახლება, სერვისის განვითარება და დიზაინი, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების სტანდარტები, თანამშრომელთა როლი სერვისის მიწოდებაში, მომხმარებელთა როლი სერვისის მიწოდებაში, სერვისის მიწოდება სხვადასხვა საშუალებებისა და ელექტრონული ქსელის მეშვეობით, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობების მართვა, ინტეგრირებული სერვისსის მარკეტინგის კომუნიკაციები, სერვისის შეფასება, სერვისის ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი.	არჩევითი	5	IV-V
სტრატეგიული ბრენდ მენეჯმენტი	მოცემული კურსი მოიცავს იმ სტრატეგიების შესწავლას რომლების აუცილებელია ბრენდის შექმნის, განვითარებისა და შენარჩუნებისათვის. სტუდენტებს კურსის ფარგლებში საშუალება ეძლევათ შეისწავლონ ის ძირითადი კონცეფციები, პრინციპები და ხელსაწყოები რომლებიც საჭიროა ბრენდის მართვისათვის. სტუდენტები ასევე შეისწავლიან როგორ განავითარონ მარკეტინგული კომპლექსი ბრენდისათვის, ბრენდის ტესტირებას შემუშავებულ მარკეტინგულ კომპლექსთან ერთად, მის წარდგენას ბაზარზე ასევე მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებთან ერთად და ბრენდის შემდგომ მონიტორინგს ბაზარზე.	არჩევითი	5	IV-V
სტრატეგიული მარკეტინგი	ეს კურსი შექმნილია ბაზრის საშიშროებასა და შესაძლებლობების ანალიზში მონაწილის გამოცდილების გასაზრდელად. განიხილება შემდეგი საკითხები: კონკრეტული უპირატესობების შეფასება, ბაზრის ევოლუციის მოდელის დაგეგმვა (წინასწარეტყველება) და	არჩევითი	5	IV-V

	ბიზნესგეგმების განვითარება. სპეციალური თემები შეიცავენ ბაზრის ანალიზის მეთოდებს და გადაწყვეტილებების მიღებას მრავალპროდუქტიან და მრავალეროვნულ ბიზნესში; გადაწყვეტილების მიღება მარკეტინგში, ბაზრის სტრატეგიული დაგეგმვა; მენეჯმენტი: მიზნები და ამოცანები; მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესი; სეგმენტაცია, პოზიციის დაკავება და მარკეტინგული მიქსი; ბაზრის დინამიკა და კონკურენტული სტრატეგია; წარმატებული ბრენდების შექმნა; ინოვაცია და ახალი პროდუქციის განვითარება; ფასწარმოების პოლიტიკა: მიწოდებულის ღირებულება; მარკეტინგული არხების მართვა; მბრუნავი მენეჯმენტი; მარკეტინგი მომავალში.			
სამაგისტრო ნაშრომი	სტუდენტი თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე ყალიბდება სამაგისტრო ნაშრომის თემაზე და თემის დასაწერად საჭირო კვლევის გეგმაზე. ნაშრომი წარედგინება თემის ხელმძღვანელს და კომისიას და ფასდება მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელოში მითითებული წესის შესაბამისად. ამ ნაშრომში დასაბუთებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტის შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელსაც ის იკვლევდა სწავლების ბოლოს. ეს ნაშრომი უნდა ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნეს ფენომენს მისი ინტერესის მიხედვით, ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს.	სავალდებულო	20	VI